როდესაც ალლაჰი შეიყვარებს რომელიმე მონას, ის უხმობს ჯიბრილს და ეუბნება: 'მე მიყვარს ესა და ეს, ამიტომ შენც შეიყვარე იგი, მაშინ ჯიბრილიც შეიყვარებს მას

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც ალლაჰი შეიყვარებს რომელიმე მონას, ის უხმობს ჯიბრილს და ეუბნება: 'მე მიყვარს ესა და ეს, ამიტომ შენც შეიყვარე იგი, მაშინ ჯიბრილიც შეიყვარებს მას, შემდეგ ზეცაში გამოაცხადებს: ალლაჰს უყვარს ესა და ეს, ამიტომ შეიყვარეთ ის. და ზეცის მკვიდრნი მას შეიყვარებენ, ხოლო მიწაზე მას სიყვარული და მიღება მიენიჭება, მაგრამ როდესაც ალლაჰს სძულს ვინმე, ის უხმობს ჯიბრილს და ეუბნება: მე მძულს ესა და ეს, ამიტომ შენც შეიძულე იგი, მაშინ ჯიბრილი შეიძულებს მას და ზეცაში გამოაცხადებს: ალლაჰს სძულს ესა და ეს, ამიტომ შეიძულეთ იგი, მაშინ ზეცის მკვიდრებიც შეიძულებენ მას, და მიწაზე მის მიმართ სიძულვილი გავრცელდება».

[სანდო (საჰიჰ)] [صحيح مسلم]

წინასწარმეტყველმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ როდესაც ალლაჰს უყვარს მისი მორწმუნე მონა, რომელიც ემორჩილება მის ბრძანებებს და შორდება მის აკრძალვებს, ის უხმობს ჯიბრილს და ეუბნება: უზენაეს ალლაჰს უყვარს ესა და ეს, ამიტომ შენც შეიყვარე იგი. მაშინ ანგელოზთა ბატონი ჯიბრილი, შეიყვარებს მას და ზეცის ანგელოზებს ასე მიმართავს: თქვენს ღმერთს უყვარს ესა და ეს, ამიტომ თქვენც შეიყვარეთ იგი, მაშინ ზეცის მცხოვრებლები შეიყვარებენ მას, შემდეგ კი მას სიყვარული და მიღება მიენიჭება მორწმუნეთა გულებში, ისინი მასთან სიმპათიით, სიყვარულითა და კმაყოფილებით განეწყობიან. როდესაც ალლაჰს სძულს რომელიმე მონა, ის უხმობს ჯიბრილს და ეუბნება: მე მძულს ესა და ეს, ამიტომ შენც შეიძულე იგი, მაშინ ჯიბრილი შეიძულებს მას, შემდეგ კი ზეცის მკვიდრებში გამოაცხადებს: თქვენს ღმერთს სძულს ესა და ეს, ამიტომ თქვენც შეიძულეთ იგი, მაშინ ზეცის მცხოვრებლები შეიძულებენ მას, და შემდეგ მასზე სიძულვილი და მტრობა დაფუძნდება მორწმუნეთა გულებში.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/6458